**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**თავმჯდომარის ბრძანება**

ბრძანება:**ბ119. 119262372**

თარიღი:**25/08/2026**

**წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. შეიქმნას წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ ცქიტიშვილი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნოდარ გაბაძე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) - კომისიის წევრი;

გ) მარიანა ცინდელიანი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

დ) მარიამ ლომთათიძე - სამდივნო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი